

შპს ვესტ პოინტი  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

## შპს "ვესტ პოინტი"

ერთეული: 1GEL

|                                                     | საანგარიშგებო თარიღი |                 |
|-----------------------------------------------------|----------------------|-----------------|
|                                                     | 31.12.2024           | 31.12.2023      |
| <b>აქტივები</b>                                     |                      |                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტი                           | 580499               | 484502          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 0                    | 2230            |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 540000               | 140000          |
| <b>მარაგები</b>                                     | 661                  | 661             |
| მ.შ.-მზა პროდუქცია                                  |                      |                 |
| -სხვა მარაგი                                        | 661                  | 662             |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                           |                      |                 |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |                      |                 |
| <b>ბიოლოგიური აქტივები</b>                          |                      |                 |
| მ.შ -თვითღირებულების მოდელით                        |                      |                 |
| -გადაფასების მოდელით                                |                      |                 |
| გუდვილი                                             |                      |                 |
| სხვა არამატერიალური ქატივები                        |                      |                 |
| ძირითადი საშუალებები                                | 13187798             | 12732607        |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში                    |                      |                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში |                      |                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |                      |                 |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>14230958</b>      | <b>13360000</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                |                      |                 |
| ფინანსური იჯარის(ლიზინგის) ვალდებულება              |                      |                 |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 2113938              | 1608427         |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები               |                      |                 |
| ვალდებულებები თანამშრომლთა მიმართ.                  |                      |                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                          |                      | 0               |
| გამომუშავებული შემოსავალი და მიღებული ავანსები      |                      |                 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                     |                      |                 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                  | 7086595              | 8707995         |
| სხვა ვალდებულებები                                  |                      |                 |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            | <b>9200533</b>       | <b>10316422</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                            |                      |                 |
| კაპიტალი(სააქციო კაპიტალი,საპაიო კაპიტალი)          |                      |                 |
| საემისიო შემოსავალი                                 |                      |                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                        |                      |                 |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                         | 5030425              | 3043578         |
| გადაფასების რეზერვი                                 |                      |                 |
| სხვა რეზერვები                                      |                      |                 |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                        | <b>5030425</b>       | <b>3043578</b>  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>       | <b>14230958</b>      | <b>13360000</b> |

შპს ვესტკონტო  
საქმიანობის შედეგები

|                                                               | საანგარიშგებო თარიღი |                |
|---------------------------------------------------------------|----------------------|----------------|
|                                                               | 2024                 | 2023           |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                         | <b>4380378</b>       | <b>4083375</b> |
| მშ- საქონლის გაყიდვიდან                                       |                      |                |
| მომსახურების გაწევიდან                                        | 4380378              | 4083375        |
| სხვა ამონაგები                                                |                      |                |
| რეალიზებული პროდუქციი თვითღირებულება                          |                      |                |
| საწყისი მარაგები                                              |                      |                |
| მარაგების შესყიდვა                                            |                      |                |
| გადამუშავების დანახარჯი                                       |                      |                |
| საბოლოო მარაგი                                                |                      |                |
| <b>საერთო მოგება</b>                                          | <b>4380378</b>       | <b>4083375</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                    |                      | 500            |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                      | -516147              | -434617        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                          | -553062              | -526805        |
| საპროცენტო შემოსავალი                                         |                      |                |
| საპროცენტო ხარჯი                                              | -435574              | -385893        |
| იჯარის ხარჯი                                                  | -62125               | -60195         |
| ადმინისტრაციული სა სხვა საოპერაციო ხარჯი                      | -1002632             | -1235564       |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                        | -2569540             | -2642574       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                      | <b>1810838</b>       | <b>1440801</b> |
| გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება                               |                      |                |
| მ.შ-ფინანსური აქტივების                                       |                      |                |
| _მარაგების                                                    |                      |                |
| _სხვა არაფინანსური აქტივების                                  |                      |                |
| წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან            |                      |                |
| მიღებული დივიდენდები                                          |                      |                |
| სხვა წმიდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                     | 176009               | -278342        |
| მოგება/ზარალი მოგების გადას.ხარჯამდე განგრძ.ოპერაციებიდან     | 1986847              | 1162459        |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                     |                      |                |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი                             | 1986847              | 1162459        |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი                                  |                      |                |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი(მ.შ.ზიოლ.აქტივების) |                      |                |
| სხვა                                                          |                      |                |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი,სულ:                             |                      |                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი</b>                        | <b>1986847</b>       | <b>1162459</b> |
| კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში                       | 3043578              | 1881119        |
| ახალი აქციების გამოშვება(შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)   |                      |                |
| განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)                 |                      | 0              |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                         |                      |                |

|                                       |         |         |
|---------------------------------------|---------|---------|
| კაპიტალის სხვა ცვლილებები             |         |         |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 5030425 | 3043578 |



## 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

### განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ვესტ პოინტი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 01 თებერვალს . მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 404530833, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა 37/39

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. ა.კომპანიის- 50%-იანი წილის მფლობელია ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547)

ბ.კომპანიის-50%-იანიწილის მფლობელია დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651)

1.3. კომპანიის დირექტორია : გიორგი მიმინოშვილი(პ/ნ 18001005728)

1.4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარი უძრავი ქონების იჯარის გაცემა.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 27კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

### შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

### საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

### ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი



აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის



გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

#### გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი



გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

1 EUR=2,9306 ლარი.

## 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

|  | ნაშთი<br>31.12.2024 | ნაშთი<br>31.12.2023 |
|--|---------------------|---------------------|
|  |                     |                     |



|                              |        |        |
|------------------------------|--------|--------|
| ნადდი ფული სალაროში          |        |        |
| ლარი საბანკო ანგარიშზე       | 494282 | 481457 |
| აშშ დოლარი საბანკო ანგარიშზე |        |        |
| ევრო საბანკო ანგარიშზე       | 8216   | 3045   |
| სულ                          | 502499 | 484502 |

### 3.3.სავაჭრო მოთხოვნები

|                                   | ნაშთი<br>31.12.2024 | ნაშთი<br>31.12.2023 |
|-----------------------------------|---------------------|---------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები მომწოდებლებთან | 0                   | 2230                |
| სულ                               | 0                   | 24956               |

### 3.4. სავაჭრო ვალდებულებები

|                                      | ნაშთი<br>31.12.2024 | ნაშთი<br>31.12.2023 |
|--------------------------------------|---------------------|---------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლებთან | 2113938             | 1608427             |
| სულ                                  | 2113938             | 1608427             |

### 3.5. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

|                                               | ნაშთი<br>31.12.2024 | ნაშთი<br>31.12.2023 |
|-----------------------------------------------|---------------------|---------------------|
| ფიზიკური პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხი | 0                   | 0                   |
| იურიდიული პირისგან მიღებული სესხები           | 7086595             | 8707995             |
| სულ                                           | 7086595             | 8707995             |

### 3.6.ძირითადი საშუალებები

|                           | ნაშთი<br>31.12.2024 | 2024წ ზრდა<br>ან<br>შემცირება | 2024წ.დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>31.12.2023 |
|---------------------------|---------------------|-------------------------------|--------------------------|---------------------|
| შენობა ნაგებობები         | 10171207            | 835401                        | 544237                   | 9880043             |
| მანქანა დანადგარები       |                     |                               |                          |                     |
| ოფისის აღჭურვილობა        | 30020               | 4475                          | 7740                     | 33285               |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 5694                |                               | 1085                     | 6779                |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2980877             |                               |                          | 2812500             |
|                           | 13187798            | 1381572                       | 553062                   | 12732607            |

### 3.7. საანგარიშგებო პერიოდის მოვლენები:

2024 წელს კომპანია იჯარით გაცემდა ქ. ქუთაისში მდებარე სავაჭრო ცენტრში ფართებს.

### 3.8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ .

დირექტორი:



გ.მიმინოშვილი